



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 1
18/01/2021

1-06-4-202101181639



ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების - დ. აღმაშენებლის ქუჩაზე დაუმთავრებელი კორპუსის დემონტაჟის შედეგად მიღებული სამშენებლო მასალების (1. გადახურვის სქელტანიანი ფილები 23 (ოცდასამი) ცალი 2. ფუნდამენტის ბლოკი 60 (სამოცი) ცალი და რკინა-ბეტონის სარტყლის ფრაგმენტები სხვადასხვა ზომის 10 (ათი) ცალი)-ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.გ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 35-ე მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი აუდიტორი ი/მ „ომარი დოლონაძის“ (სარეგისტრაციო №SARAS-A 486613; უძრავის ქონების შემფასებელი: სერთიფიკატი N089) 2020 წლის 2 ოქტომბრის მდგომარეობით ღრუტანიანი ბეტონის ფილების (სინკარის) საწყისი საპრივატიზაციო ღირებულების დადგენის შესახებ 2020 წლის 05 ოქტომბრის №68 დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული მოძრავი ქონების - დ. აღმაშენებლის ქუჩაზე დაუმთავრებელი კორპუსის დემონტაჟის შედეგად მიღებული სამშენებლო მასალების (1.გადახურვის სქელტანიანი ფილები 23 (ოცდასამი) ცალი 2. ფუნდამენტის ბლოკი 60 (სამოცი) ცალი და რკინა-ბეტონის სარტყლის ფრაგმენტები სხვადასხვა ზომის 10 (ათი) ცალი) - ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 4400.00 (ოთხი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო